



შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან
დადოგლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№13 (9.822)

14 - 21 აპრილი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დე მცუსარებისა და დამოუკიდებლობისა



მ 3 . 3

სოფლად ახალგაზრდა მენარმეების მხარდამჭერი პროგრამა დაიწყო

მ 3 . 2



პატრიარქის სააღდგომო მესტილე



მ 3 . 4 - 5




აქვთივე

ღვთისკაცი

მ 3 . 5 - 8

„ბოლო წლებს მთავარი მოწამოვარი მოძალადეებისთვის ღირსების დაბრუნება და სიტყვის თავისუფლება!“



მ 3 . 3

სიყვარული და მოთმინება ოჯახის სტაბილურობის ბარანტი...



მ 3 . 6



მ 3 . 6

სკოლა ცდილობს, ბავშვის უფლებები დაცული იყოს...

პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო



მ 3 . 2

ირაკლი კობახიძე - პარლამენტის გაძლიერება ნიშნავს ქართული დემოკრატიის გაძლიერებას

პარლამენტის გაძლიერება ნიშნავს ქართული დემოკრატიის გაძლიერებას და ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან აქტიურად ვითანამშრომლებთ როგორც ევროკავშირთან, ასევე ყველა სხვა პარტნიორთან, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ კონფერენციანზე “უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება” სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, პარლამენტი საჭიროებს თვისობრივ პოლიტიკურ და ინსტიტუციურ გაძლიერებას და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების განვითარება და გაძლიერება, მათ შორის, განსაკუთრებით, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

„ჩვენ გვაქვს ორი ძირითადი ფუნქცია. ეს არის კანონმდებლობა და ზედამხედველობა. ჩვენ გვჭირდება თვისობრივი გაძლიერება როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით. ამისათვის იგეგმება კონკრეტული ნაბიჯები, კონკრეტული გეგმები აქვს საქართველოს პარლამენტს, კანონმდებლობითი ფუნქციების განსავითარებლად და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ჩვენი საზედამხედველო ფუნქციების განვითარება. ჩვენ მივიღეთ ახალი რედაქცია საქართველოს კონსტიტუციის, რომელიც გაძლიერდა შესაბამისი მექანიზმები. პარლამენტს ახლა უკეთესი რესურსები აქვს იმისათვის, რომ განახორციელოს ზედამხედველობა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე. შესაბამისად, ჩვენ სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა პარლამენტის რეგლამენტზე, რომლითაც უნდა დაკონკრეტდეს საზედამხედველო ფუნქციები და შესაბამისი კონკრეტული ინსტრუმენტები.

კობახიძის განცხადებით, ამ მიმართულებით საერთაშორისო პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების თანადგომა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

„ამ ყველაფერში ჩვენ გვჭირდება ძალიან მყარი თანადგომა. განსაკუთრებით ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. გვჭირდება თანადგომა ასევე, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან და კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროექტი, რომელსაც ჩვენ ვინყებთ დღეს ოფიციალურად, არის ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც იქნება შეტანილი ამ პროცესში“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ და დასძინა, რომ დღევანდელ კონსტიტუციურ სისტემაში პარლამენტი არის ცენტრალური რგოლი და, შესაბამისად, პარლამენტის ქმედობაზე დიდწილად დამოკიდებულია ის, თუ რამდენად ქმედითი იქნება, ზოგადად, დემოკრატიული სისტემა საქართველოში.

ირაკლი კობახიძემ ევროკავშირს და საქართველოში ევროკავშირის წარ-

მომადგენლობის ხელმძღვანელს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. მინდა მადლობა გადავუხადო ევროკავშირს და კონკრეტულად ევროკავშირის დელეგაციას და კონკრეტულად ბატონ შერმანს ძალიან მყარი მხარდაჭერისთვის, რომელსაც ისინი აღმოუჩინენ საქართველოს და კონკრეტულად, საქართველოს პარლამენტს. ეს მხარდაჭერა და თანადგომა არის ნამდვილად ფასდაუდებელი ჩვენთვის. ეს მხარდაჭერა არის გამომსახველი, მათ შორის კონკრეტულ აქტივობებში, კონკრეტულ პროექტებში და მე მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირის პროექტები არის ყოველთვის განსაკუთრებულად შედეგზე ორიენტირებული, რისთვისაც მე მინდა კიდევ ერთხელ ევროკავშირს და ევროკავშირის დელეგაციას უღრმესი მადლობა გადავუხადო“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ლონისძების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, იანოშ შერმანმა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა.

მნიშვნელოვანი პროექტის მხარდაჭერისთვის ევროკავშირის მადლობა გადაუხადა ირაკლი სესიაშვილმა.

„საპარლამენტო კონსტრუქციონერების დემოკრატიული მმართველობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფორმა ჩვენს ქვეყნისთვის არ არის მხოლოდ სტანდარტის გამოყენება. ეს არის ძალიან სწორი და ბუნებრივი პროცესი, რასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ქვეყნის მმართველობაზე. საპარლამენტო კონსტრუქციონერების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა.

„მისი განცხადებით, აღნიშნული პროექტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება იმ პროცესში, რაც საქართველოს პარლამენტმა წამოიწყო და იქნება გარანტი, რომ პროცესი სასურველ შედეგამდე ეფექტურად მივიღეს.

იანოშ შერმანმა რეფორმირების პროცესში პარლამენტის ჩართულობას მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნული პროცესის წარმატებით წარმართვისათვის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ თუ რას მიაღწია საქართველომ ამ მიმართულებით. პარლამენტი აღნიშნული რეფორმების მხარდაჭერაში აქტიური გახდა და მინდა ხაზი გავუსვა პარლამენტის მხარდაჭერას აღნიშნულ პროცესში და პირადად აღვნიშნავ პარლამენტის თავმჯდომარის წვლილს, რომელიც აღნიშნული პროცესების წარმართვით ძალია გახლავთ. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ საქართველოსთან ერთად საჯარო ადმინისტრაციის რე-

ფორმის მიმართულებით და ჩვენ გავგრძელებთ აღნიშნულ რეფორმას, რომელსაც სერიოზულად დაგეგმეთ მხარს ევროკავშირის რესურსებით“, - განაცხადა იანოშ შერმანმა.

მან ყურადღება უსაფრთხოების სექტორზე, საპარლამენტო ზედამხედველობაში ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე გაამახვილა. მისი თქმით, ევროკავშირის პოლიტიკა ამ მიმართულებით, კომპლექსურია და სრულად შეესაბამება იმ ზოგად პრინციპებს, რასაც შექვია დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. იანოშ შერმანის განცხადებით, ევროკავშირი უფრო აქტიური გახდება უსაფრთხოების სფეროს რეფორმირებაში და უფრო აქტიურ პოზიციას დაიკავებს კონსტიტუციური საკითხების პრევენციასა და მოგვარებაში, ანტიკორუპციისა და ანტირაიდიკალიზმის მიმართულებით.

პრევენციაცია ღონისძიების მონაწილეებს პროექტის ექსპერტმა, სტივ ლიმ წარუდგინა. პრევენციაციის მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას პროექტის ძირითადი ამოცანების, მიმდინარეობისა და სამომავლო ნაბიჯების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს დაეთმო.

როგორც პარლამენტის პრესსამსახურში განმარტავენ, პროექტი მიზნად ისახავს პარლამენტის მხარდაჭერას ზედამხედველობის გაძლიერებაში, რათა საკანონმდებლო ორგანომ ეფექტიანად განახორციელოს თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს (მათ შორის პოლიციის), და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ზედამხედველობა.

„პროექტის აქტივობები მოიცავს პარლამენტის აპარატის თანამშრომლების პროფესიული უნარების გაძლიერებას.

პროექტი ხორციელდება თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებთან თანამშრომლობით და მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მდგრად პროგრესზე დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის კუთხით. აღნიშნული მიმართულებით, პროგრესი ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს მდგრად განვითარების მიზნების მიღწევას, განსაკუთრებით კი ეფექტიანი, მდგრადი ინსტიტუტების განვითარებას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება აქტივობები, რათა მიღწეულ იქნეს ადამიანის უფლებების დაცვის და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით მიღებული მდგრადი შედეგები“, - განმარტავენ პარლამენტის პრესსამსახურში.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი 2017 წლის ოქტომბერში დაიწყო და 18 თვე გრძელდება.

პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო

10 აპრილიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018-2019 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი დაიწყო, რომელიც 27 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

პირველ ეტაპზე რეგისტრაცია ხელმისაწვდომია იმ მოსწავლეებისთვის, რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში; რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია; რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2018 წლის 30 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით.

მეორე ეტაპი, რომელიც 8 მაისს დაიწყება და 8 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება, გულისხმობს საყოველთაო ელექტრონულ რეგისტრაციას. შესაბამისად, შესაძლებელი იქნება ყველა იმ ბავშვის რეგისტრაცია, რომელიც სკოლაში შესვლის ასაკს აკმაყოფილებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მეორე ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2018 წლის 11 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

მესამე ეტაპის ვადებში, 2-დან 16 ივლისის ჩათვლით, შესაძლებელია მეორე ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილებზე მოსწავლეთა რეგისტრაცია, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

2018 წელს ახალი სასწავლო წელი 17 სექტემბერს დაიწყება.

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდასაჭერად ახალი პროგრამა დაიწყო

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ ახალი პროგრამის „ახალგაზრდა მეწარმე“ განხორციელება დაიწყო. პროგრამის ბიუჯეტი 4 110 000 აშშ დოლარია და მისი მიზანი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით ახალგაზრდების ბიზნესსაქმიანობაში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობაა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქის მქონე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც საქართველოში ბიზნესსაქმიანობა სურთ.

პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ბენეფიციარს დაუფინანსებს პროექტის ღირებულების 40%-ს, მაგრამ არაუმეტეს 60 000 ლარის; დარჩენილი 60% ბენეფიციარის თანამონაწილეობაა. თანამონაწილეობის თანხა შესაძლებელია მოძიებული იქნას როგორც საკუთარი სახსრებით, ასევე საბანკო კრედიტით (მათ შორის, შეღავათიანი აგროკრედიტი).

პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესმიმართულებების დაფინანსებას. არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესსაქმიანობის წილი მთლიანი დაფინანსების პროცენტული 20%-ს არ აღემატება.

პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო მიმართულება გარდა, იმ დარგებისა, რომლებიც უკვე ფინანსდება სხვადასხვაგან სასოფლო-სამეურნეო საგრანტო პროგრამით.

სააგენტოში განაცხადების და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა განხორციელდება ელექტრონულად, ვებგვერდების www.apma.ge და www.danida.apma.ge მეშვეობით.

პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მხარდაჭერით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ხორციელდება.

დღე მწუხარებისა და დამოუკიდებლობისა

1989 წლის 9 აპრილმა ჩვენს მცხიერებაში ტკივილთან ერთად უდიდესი სიამაყის განცდაც დატოვა - ამ დღეს ქართველებმა ერთად დგომა და ერთიანი ერთიანობის მიღწევა შეძლეს.

9 აპრილი - ერთი დღე ორი დიდი ისტორიული კონტექსტით: 9 აპრილს პატივს მივაგებთ სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას და ამავე დღოს, ვზეივით მობთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

9 აპრილი საქართველოს ისტორიაში დარჩება, როგორც სიმამაცის, თავისუფლების, ქართული სულის გამოღვიძებისა და თავგანწირვის სიმბოლო.

დღეს 29 წელი გავიდა საქართველოს უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღიდან. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის

სადამსჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი, საპროტესტო აქცია დაარბიეს.

9 აპრილი გაიხსენეს დედოფლისწყაროში. ამ დღეს 9 აპრილის ემორიალთან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები შეიკრიბნენ და 1989 წლის 9 აპრილს გმირულად დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას პატივი მიაგეს. საზოგადოებას სიტყვით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა მიმართეს.

მემორიალთან 9 აპრილს გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი ელიის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, ბერ-დიაკონმა პანტელეიმონმა გადაიხადა.



ჩატარდა საკრებულოს სხდომა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, სუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით დღეს საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 17 საკითხი განიხილეს. სხდომას მერის მოადგილე მალხაზ მერაბიძე და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. საკრებულომ იმსჯელა და ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომლებიც, კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებებში შევიდა. ასევე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3-ე პუნქტის, და 61-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრებმა განიხილეს და მხარი დაუჭირეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების

განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცებას. იგივე ორგანული კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობის, დაფინანსებისა და ხარჯვის წესიც. დღევანდელ სხდომაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოინონა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო ნინადადებ ა, რომელიც სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის სახურავის, სველი წერტილებისა და ფოიეს სართულშუა გადახურვის ფილების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

„ბოლო წლების მთავარი მონაკოვარი მოქალაქეებისთვის ღირსების დაბრუნება და სიტყვის თავისუფლება!“



დედოფლისწყაროს საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. იგი სოფელ გაბარჯვების მკვიდრი ნინო ფროსმანაშვილი გახლავთ. ქალბატონ ნინო ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, ჯერ კიდევ წლები წინ მან სატელევიზიო გადაცემაში „რა? სად? როდის?“ გამომავალი და მას შემდეგ მისი სახელი ყოველი დედოფლისწყაროს მოსახლისთვის ნაცნობი გახდა. განათლებული, საქმიანობის ერთგული, ბრძოლისუნარიანი და მომხმარებელი, ასე, რამდენიმე სიტყვით შევძლებთ დავახსენებთ ნინო ფროსმანაშვილი. ვფიქრობთ, რომ იგი ყველა იმ თვისების მატარებელია, რაც ღირსი ქალბატონს უნდა გააჩნდეს. ალბათ გიჟი-ველისთვის საინტერესო იქნება, უფრო მეტი ბავშვს, რომელიც გახლავთ იმ ქალბატონის მოსაზრებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც პარტია „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბების დღიდან პირნათლად მიჰყვება ამ პარტიის პრინციპებს.

მინი ფოსტი: დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში, ინტელიგენტების ოჯახში. აქვე გაატარა ბავშვობა და სკოლის წლები. ამჟამად, რომ სოფელი, სადაც დაიბადა

და ცხოვრობს, არის პაპის - ვანო ფროსმანაშვილის (წყალწყალას) დაარსებული, რომლის თავკაციც ოცდაათ წელზე მეტი წინ, თავად ვანო ფროსმანაშვილი გახლდათ. ნინო ფროსმანაშვილი წარჩინებით დაამთავრა სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა, სადაც იმ დროისთვის, დაახლოებით, 650 მოსწავლე იღებდა ზოგად განათლებას. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დაამთავრა უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი. ნინო ფროსმანაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა გამარჯვების სოფლის საკრებულოში სხვადასხვა პოზიციაზე. 2006 წლიდან, სოფლად საკრებულოების გაუქმების შემდეგ, რამდენიმე წელი გახლდათ უმუშევარი. მიუხედავად უმუშევრობისა, მატერიალური შეჭირვებისა, მაღლობელია იმ წლების რამდენიმე მიზეზის გამო. ამ პერიოდმა „აიძულა“ გაემარჯვა 2007 წელს სატელევიზიო ინტელექტუალურ გადაცემა „ეტალონ“-ში, ასევე 2009 წელს სატელევიზიო ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ შემოდგომის სეზონში, სადაც ორი გამარჯვებული კითხვის ავტორად დასახელდა და ამავე სეზონის მთავარი პრიზის - „ბროლის ბუს“ და ფულადი პრიზის მფლობელი გახდა. პარალელურად რამდენჯერმე 2007, 2011 და 2012 წელს მიიღო მონაწილეობა

სკოლის დირექტორთა შესარჩევ კონკურსში და მისი ტესტირების ეტაპი სამჯერვე მაღალი შეფასებით გადალახა, თუმცა, სამწუხაროდ, გასაუბრება მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. 2008 წელს აიღო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი და ჩაერთო საარჩევნო პროცესში. 2010 წლიდან, ბოლო არჩევნების ჩათვლით, გახლდათ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი. 2012 წლის დეკემბრიდან დღემდე მუშაობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, ჯერ აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსად, ხოლო 2018 წლის 5 თებერვლიდან - საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად - აპარატის უფროსად.

- ნინო, მოგვიყვიეთ მშობლების შესახებ.

- მყავს არაჩვეულებრივი დედა, რომელიც არა მხოლოდ დედა, არამედ მეგობარიცაა, და ერთი - ძმა.

- საინტერესოა ახლადდანიშნულ თანამდებობაზე თქვენი უახლოესი გეგმები.

- საკრებულოს აპარატი შექმნილია საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით და ჩვენი აპარატის მიზნებიც და გეგმებიც მიბმულია საკრებულოს გეგმებსა და გამონკვევებს. რაც შეეხება აპარატს, ის დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით, რომლებთან ერთადაც უკვე მრავალი წელია ვმუშაობ და იმედი მაქვს, ყველა ახალ გამოწვევას ისევე ასე გუნდურად შევხვდებით. მათთან მადლობის მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

-საკუთარ თავთან და თანამშრომლებთან მუშაობის უმთავრესი პრინციპები?

-საკუთარ თავთან გაცილებით მეტად მომთხოვნი ვარ, ვიდრე თანამშრომლებთან, უმთავრესი პრინციპი კი სამართლიანობა, გუნდურობა, სანდობა და პასუხისმგებლობაა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ მშვიდი სამუშაო გარემო.

-ადამიანს გადანყევტილების

მიღების და მოქმედებისკენ სამი გზა აქვს: აზროვნება, მიბაძვა და გამოცდილება. ამ სამი მათგანიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

-თუ ადამიანს სწორი გადანყევტილების მიღებაში დაეხმარება, შესაძლებელია, ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გამოიყენოს. მე უპირატესობას აზროვნებას ვანიჭებ და გამოცდილებასაც (ჩემსას თუ სხვისას), გააზრების და ფიქრის შედეგად ვარჩევ. მიმბაძველი კი, არასდროს ვყოფილვარ.

-ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ გონება უნდა იბატონოს გულზე?

- რადგან ბატონობს - ან ერთი, ან მეორე, ან ორივე ერთად, მათ შედეგი უნდა გამოიღოს, შედეგი კი, რაღაც ქმედებაა, ანუ გადანყევტილების მიღება. თუ ასეა, მაშინ ნაწილობრივ ეეთანხმები. რა თქმა უნდა, გონება მუდმივად უნდა იყოს ჩართული გადანყევტილების მისაღებად, მაგრამ მხოლოდ გონებით მიღებული გადანყევტილებები გაცილებით ხისტი და არაადამიანური მეჩვენება. აუცილებელია გულის და გონების დაბალანსებული ურთიერთობა ნებისმიერ საკითხში.

- რომელი უანრის ლიტერატურა გიყვართ, თქვენი სამაგიდო წიგნი, ან ბოლო დროს წაკითხული ავტორი რომელია?

-მიყვარს ნებისმიერი უანრის კარგი ლიტერატურა. მაქვს გამორჩეული წიგნები და მყავს ასევე გამორჩეული ავტორები - „გმირთა ვარაში“, „გველის პერანგი“, „ქარნაღებულნი“, მწერლები: შტეფან ცვაიგი, ალექსანდრე დიუმე, ლევან გოთუა-ქართველ მწერლებში მასზე წინ ვერავის დავეყენებ. ბოლოს წაკითხული ემილი ბრონტეს „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, რამდენიმე თვეა, სამწუხაროდ, წიგნისთვის ვეღარ ვიცილი. სხვათაშორის, ბრონტეებისადმი ჩემი სიყვარულის გამო, ჩემი მეგობარი თინა არაბული წლების წინ შემპირდა ერთ-ერთი მათი ნაშუქის თარგმანს. თინა მალე აასრულებს დანაპირებს და როგორც ვიცი, ამ თარგმანს მე მიძღვნის.

- ბრძენი ამბობენ: „სიცოცხლე არის ხანგრძლივი თავის ტკივილი, ძალიან ხმაურთან ქუჩაში“, თქვენ რას დაარქმევდით სიცოცხლეს?

- სიცოცხლე, უბრალოდ ყველაფრის სანყისია, მე ასე ვფიქრობ. რომ არა სიცოცხლე, ვერც დავაფიქსირებდით აზრს - ის თავის ტკივილია თუ ხანგრძლივი ბედნიერება.

-ნინო, როგორ უყურებთ დღევანდელ პოლიტიკურ მოვლენებს, როგორ ფიქრობთ, ბოლო ათი წელი რომ ავიღოთ, საქართველომ ნახა განვითარება, როგორც სახელმწიფომ (გგულისხმობ მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სოციალურ განვითარებას)?

- დრო ერთი მიმართულებით მიედინება, ასევე გარდაუვალია პროგრესიც და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენს ქვეყანაშიც იგრძნობა, ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ, თუნდაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითით, ეს ვერ იგრძნო და დაინახო - მრავალი ინფრასტრუქტურული პროგრამის განხორციელების შედეგად. სახელმწიფო არა მხოლოდ ტერიტორიები, არამედ მასში მცხოვრები ხალხია. ბოლო წლების მთავარი მონაკოვარი კი საკუთარი მოქალაქეებისთვის ღირსების დაბრუნება და სიტყვის თავისუფლებაა - რასაც ყველაზე უკეთ, ალბათ, ჟურნალისტები გრძნობთ. ეს მცირე ჩამონათვალია იმ მრავალ სხვა სიკეთეთაგან, რაც სახელმწიფოს მიერ სწორი შიდა პოლიტიკის გატანათლების სფეროში, მრავალი წელია, მიმდინარეობს რეფორმა, თუნდაც, ეროვნული გამოცდები, მასწავლებელთა სერთიფიცირების დანერგვა, რომელიც კარგი მოტივატორია მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა და კარიერის განვითარებისთვის. სახელმწიფოებრივი ხედვა ნამდვილად სწორია, შედეგის გაზომვა კი წლების მერე კვალიფიციური კადრის ყველა სფეროში მიღებით გახდება შესაძლებელი.

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარება. დეზორიენტირებული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დაზარალებს. მიგვაჩნია, რომ, მართალია, ეკლესია და სახელმწიფო ინსტიტუციონალურად ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა იყოს და არის კიდევ, მაგრამ ქვეყნის შენების საქმეში აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ და ეს ურთიერთობა შეიძლება შეედაროს ადამიანის სულისა და

სხეულის კავშირს. ლეთის მადლით, ჩვენ გადავკეთოთ არაერთი სფერო გვაქვს, მაგრამ მინდა გამოვყო ანგორის ყოვლადნმი და ლეთისმშობლის ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია, რომელიც ძირითადად სახელმწიფოს ძალისხმევით მიმდინარეობს. ეს ის ეკლესიაა, სადაც პირველი საუკუნიდან დაბრძანებული იყო წმ. ანდრია პირველწოდებულისათვის ყოვლადნმინდა მარიამის მიერ გადაცემული მისი ხელთუქმნელი ხატი ყრმა იესოსთან ერთად.

დღეს, როცა ეს ტაძრი ინეგებს განზზაზღვბას ზეციური დედოფლის ხატის დასაბრძანებლად, ახალ სიცოცხლეს იძენს დედა ლეთისას ეს სიტყვებიც, წმ. მოციქულს რომ დააბარა: „შვილო ანდრია, ნაბრძანე სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა, ქვეყანასა ჩემდა ნილხედიომილსა, რათა მე ყოო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუუყყა და შევენო და არავინ სძლოს მათ“ (ქართლის ცხოვრება). „შენ, ზეცისა წვიმისა საწმისო,

მარიამ, მხვეალო და დედაო და ქალწულო, ცაო ცათაო, მხოლოო ხიღო ღმრთისაო კაცთა მომართ მოსვლისა, წუ დასცხრები სსნად სულთა ჩვენთაცა, ამინ! ყოველიო ქართველიო, აფხაზონო, ოსნო, ბერძენო, უკრაინელენო, რუსნო, ებრაელებო, აზერბაიჯანელებო, სომეხნო, უდინნო, იეზიდნო, ასირიელნო, ქურთნო, ინგუშებო, ჩერქეზებო, ჩეჩენებო, ლეკნო ... ყოველიო მკვიდრონო საქართველოსა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო.

ქრისტე აღდგა! ინებოს ღმერთმა, საქართველოც აღდგეს! სიყვარულით, თქვენთვის მლოცველი,

(წლი) || სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თბილისი, აღდგომი ქრისტესი, 8.04.2018

ექვთიმე ღვთისკაცი

„ადამიანი იმიტომად ადამიანი, რომ გაჭირვების დროს ხელი გაუწოდოს მეორე ადამიანს“ და „იცის ღმერთმა, ვის რა მისია დაავისროს“ - ესაა მთავარი მესიჯი, რომელიც ფილმის რეჟისორმა გაუგზავნა მთელ საზოგადოებას ექვთიმე თაყაიშვილზე შექმნილი ფილმის მეშვეობით. დიას, სამყაროში მატერიალურზე გაცილებით ღირებულ ფასეულობები არსებობს, ეს თავისი ცხოვრებით ექვთიმე თაყაიშვილმა დაამტკიცა, როდესაც ემიგრაციაში ყოფნისას, სამხიელი გაჭირვება გადაიტანა, ფინანსურ კოლაფსში მყოფმა მანაც არ გაყიდა ქართული საგანძურის არცერთი ექსპონატი, პირიქით, მთელი დანაზოგით ისევ არაერთი ქართული უნიკალური ნივთი შეიძინა... საფრანგეთშიც ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას ეძებდა და მიაჩნდა, რომ ეროვნული საგანძური ქვეყნის გარეთ არ უნდა გასულიყო...

ღმური მუსიკის ავტორი დათო არჩვაძეა. ფილმის გადაღებები, რომელიც საქართველოს ეროვნული საგანძურის მცველის ცხოვრებას ეძღვნება, თბილისისის პარალელურად პარიზსა და ლევილი მიმდინარეობდა. ფილმის სიუჟეტი 1921-1945 წლებში ექვთიმეს საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს ასახავს. ფილმის მთავარი გმირი 39 ყუთში განთავსებულ ქართველი ერის საგანძურს იცავს მსოფლიოს ცნობილი მუზეუმებისგან, მდიდარი კოლექციონერებისგან, კრიმინალებისგან, ფაშისტებისგან და უძლებს მთავარს - ცდუნებას. სურათში ასევე ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაკიკაიას გამორჩეული სიყვარულის ისტორია აღწერილი.

სხუთი წლის ახლადდაობლებულ ექვთიმეს გარდაცვლილ დედასთან ჩახვეულს პოულობენ... მშობლების სიკვდილის შემდეგ მათი ადგილი საქართველომ დაიკავა... ექვთიმეს ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ბედის დარიატიკივილითა და ტრაგედიით სასევე; წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს. სულ პატარას გარდაეცვალა მამა, სიმონ თაყაიშვილი, ხუთი წლისას კი - დედაც. სამიოდე წლისა ხიდან გამდოვარდა და ფეხი მოიტეხა; წესიერი ექიმი ვერ გამოუძებნეს და სამუდამოდ დაკოჭლდა. შვიდი წლის ექვთიმე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს. ამ სკოლაში საღმრთო სჯულს ასწავლიდა ცნობილი პედაგოგი დეკანოზი სიმონ ქიქოძე, გამოჩენილი ქართველი მოღვაწის წმიდა გაბრიელი ეპისკოპოსის ძმა. სიმონ ქიქოძემ ნარუშლეული შთაბეჭდილება დატოვა ექვთიმეზე. იგი მოსწავლეებს უკითხავდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, ასწავლიდა ლექსებს.



სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში. 1894-1904 წლებში განაგებს სათავადაზნაურო გიმნაზიას.

ექვთიმე თაყაიშვილი მთელი გატაცებით აგროვებს საქართველოს სიძველეებს: ხელნაწერებს, არქეოლოგიურ მასალას, შინამრეწველობის ნიმუშებს. ცდილობს მათ მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებას. დაუახლოვდა სახელგანთქმულ მეცნიერს დიმიტრი ბაქრაძეს და საბოლოოდ გადაწყვიტა ისტორიკოსობა - ეს კეთილშობილური, მაგრამ მიძიმე საქმე. დიმიტრი ბაქრაძეს მამინ დაუახლოვდა, როცა საქართველოს წარსულის ძეგლები მიმოფანტული იყო და განწირული დასაღუბავად. „იშხანად, - იგონებს ე. თაყაიშვილი, - უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლება და გარემოება ენებას მიძლევა, შემეკობა მასალა საქართველოს ისტორიარქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე ემხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამოიმზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის...“

მისმა კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ ადამიანებისადმი და საკუთარი ქვეყნის სიყვარულმა მისცა მას ძალა, გადაერჩინა და უკლებლივ დაებრუნებინა სამშობლოში განძი, რომელიც ქართველი ხალხის საკუთრება იყო. ალბათ სიმბოლურია, რომ კინოსურათის გადაღებაც ქართველი ხალხის ფინანსური მხარდაჭერის შედეგად გახდა შესაძლებელი... ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცი“ კინორეჟერება შედგა 12

ფილმის რეჟისორია ნიკოლოზ ხომასურიძე, რომელმაც ფილმის ჩვენების დასრულების შემდეგ აღნიშნა: „სამი წლის განმავლობაში ვიღებდით ამ ფილმს, რადგან სამპარისი თანხები არ გვქონდა. მთავარი როლის შემსრულებელი რაზო ჩნიკიშვილი უამრავჯერ ჩამოვიდა გარეანიდან, მაგრამ ქართული ხალხის მოწოდებაში და ფულადმა შემოსრულობამ თავისი ბაიბა-ნა და ფილმმა გზის სინათლე იხილა. მთავარი კი ის გაცხავეს, რომ ამ ფილმის გადაღების შემდეგ ჩვენ ბაცილებით

სწავლისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს ექვთიმე თაყაიშვილი და შემდგომ ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი. ეს ნაცნობობა შემდეგ დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. აქვე შეპფიცეს ერთმანეთს



აპრილს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, რომელსაც ფილმის რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე და რამდენიმე მსახიობი ესწრებოდა. ფილმში ცოცხლდებიან ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ნოე ჟორდანი, აკაკი ჩხენკელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შალვა ამირეჯიბი, ალექსანდრე სულხანიშვილი და სხვები. მუსიკალურ გახმოვანებაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა არტისტებმა, როგორებიც არიან „ქართული ხმების“ კვარტეტი, მეგი გოგიტიძე, თორნიკე სხიერელი და სხვები. ორიგინალ-

„უკაიშვილი განსვდით, ვიღრამანაა დე ვიყავით“ - განაცხადა ნიკოლოზ ხომასურიძემ. დარბაზში მყოფი მსყურებელი ცრემლს ვერ იკავებდა, იმდენად შთაბეჭდვარი იყო თითოეული სცენა იმ ისტორიისა, რომელიც ექვთიმეს გადახდა თავს... ეს უდაოდ მთავარი როლის შემსრულებლის რეზო ჩხიკიშვილის დამსახურებაა, მაგრამ რეჟისორის ოსტატობაზეც რომ ბევრად და დამოკიდებული ფილმის წარმატება, ესეც ფაქტია... ფილმში ქრონოლოგიურადაა მოთხრობილი ექვთიმეს ცხოვრების დეტალები. ფილმი სწორედ იმ სცენით ინეგება, როცა

ახალგაზრდებმა, რომ მუდმივად ივლიდნენ ილიას გზაზე... ექვთიმე ოზურგეთიდან ფოთის სამაზრო სასწავლებელში გადაიყვანეს, შემდეგ კი ქუთათისი გიმნაზიაში. 1883 წელს გიმნაზიას ამთავრებს და პეტერბურგში მიემგზავრება უნივერსიტეტში სასწავლებლად. აქ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მსმენელად ჩაირიცხა. 1887 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და საქართველოსკენ გამოემართა. საქართველოში მასწავლებლობას ინეგებს. ასწავლის ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1887-94 წლებში თბილისის სათავადაზნაურო

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი აქტიურად თანამშრომლობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“. ჯერ კიდევ სტუდენტად იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მთელი ძალით შეუდგა „საზოგადოებაში“ მუშაობას. მოგზაურობდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში და ეხმარებოდა სკოლებსა და სამკითხველოებს; აგროვებდა ძვირფას ნივნებს, სხვადასხვა სახის სიძველეებს, სიგელ-გუჯრებსა და ისტორიულ საბუთებს. ექვთიმე თაყაიშვილმა 1907 წელს დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც იყო 1921 წლამდე (ემიგრაციაში წასვლამდე), ეწეოდა ფართო არქეოლოგიურ საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა წინაქრისტიანული ხანის სასაფლაო დე-

ბედის ხეობაში, სოფ. ვორნაკში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგორის განძის შეგროვებასა და დაცვაში. კვლადაკვალ სდია ამ განძის შემსყიდველ-გადამყიდველებს; მოახერხა განძის უმეტესი ნაწილის თავმოყრა და კავკასიის მუზეუმში დაბინავება. მეტად მნიშვნელოვანი იყო ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში. პირველი ექსპედიცია 1902 წელს მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სვიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამურაიშვილი. შეისწავლეს ახალციხის და ახალქალაქის, აგრეთვე არტანუჯისა და ოლთისის ოლქების არქიტექტურული ძეგლები. 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოიკვლია არტანუჯის ოლქის კოლას რაიონის ეკლესია-მონასტრები და დაამთავრა ოლთისის ოლქის ეკლესია-მონასტრების შესწავლა. ექსპედიციაში მასთან ერთად იყვნენ ხუროთმოძღვარი ალექსანდრე კალგინი და ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზენი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წელს მოწყობილ ექსპედიციას. მათ შეისწავლეს ხახულის, ოშკის, ექქისა და სხვ. ტაძრები, ოთხთა ეკლესია, თორთუმის ციხე და სხვ. ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა და გადმოიღო მრავალი ძვირფასი ნარჩენი. გაარკვია მანამდე უცნობი ზოგიერთი მონასტრის სახელი. შეისწავლა მოხატულობა, ჭედური ხატები, საეკლესიო ჭურჭელი, მინიატურები. ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. ყველა საორგანიზაციო საკითხი, უნივერსიტეტის წესდების შედგენიდან დაწყებული უმნიშვნელო წვრილმანებამდე, ექვთიმეს გარეშე არ წყდებოდა. იგი უნივერსიტეტის პირველი პროფესორი იყო. 1918 წელს 21 მაისს უნივერსიტეტის საბჭომ დოქტორის ხარისხი მიანიჭა. 1921 წელს საბჭოთა ხელი-სუფლების მოსვლის უმალ მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში - საფრანგეთში წავიდა. (გაგრძელება გვ.8)

სკოლა ცდილობს, ბავშვის უფლებები დაცული იყოს...

აუტისტური სპექტრის მქონე 7 წლის ბიჭი თითქმის ორთვიანი პაუზის შემდეგ სოფელ ხორნაბუჯის სკოლას დაუბრუნდა. პრობლემის შესახებ ვრცლად „შირაქი“ სულ ახლახანს იუნყებოდა. მასალაში საუბარი იყო იმაზე, რომ მშობელსა და სისტემას შორის არსებული დაპირისპირების გამო, ინკლუზიური მოსწავლე განათლების მიღებას ვერ ახერხებდა. მას შემდეგ შეხვედრა შედგა დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. მოგვიანებით ყველა მხარის მონაწილეობით კიდევ ერთი შეხვედრა სამინისტროში გაიმართა.

7 სსმ მოსწავლე ჰყავს, ამიტომაც გადაწყდა, რომ ერთ შტატს კიდევ დაამატებენ. როგორც ვიცი, სკოლამ შტატის დამატების მოთხოვნა სამინისტროში უკვე გადააგზავნა, იმედი მაქვს, დროულად დაკმაყოფილდება მოთხოვნა და შემდეგ უკვე კონკურსი გამოცხადდება, რომ შესაბამისი კადრი შეირჩეს. სკოლა ცდილობს, რომ მშობლის ეს მოთხოვნაც შესრულდეს, ვინაიდან, რესურსცენტრში დაგეგმილ შეხვედრაზე ვერ მივედით კონკრეტულ შეთანხმებამდე და გაურკვევლობა გაჭიანურდა, შემდეგ სამინისტროში წავიდეთ. უკვე ორ კვი-

არის საქმე. შესაძლოა, ერთ დღეს ორი გაკვეთილი გაძლოს, ხოლო მეორე დღეს 15 წუთიც ვეღარ გავაჩეროთ. ჩემთვის მაინც გაუგებარი რჩება, რატომაც ეს კაპრიზი და რატომ არის მშობლისთვის ასე მიუღებელი ჟანა მასწავლებელი. ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანის აუცილებლობა არ დგას და თავად მშობელსაც არ აქვს სურვილი სხვა სკოლაში ევლო, რადგან ტერიტორიულად მათთან ახლოს ეს სკოლაა და ქალაქის სკოლებში სიარული მათ ძალიან გაუჭირდებოდათ. ახლა ველოდებით, რომ სამინისტრომ გამოგზავნოს ფსიქოლოგი. 19 აპრილი-

მეხრიშვილი დაგვინიშნა. სხვა დღეებში კი, როცა ჟანა დაბრუნდა, ის გარეთ გამოუშვა. შემდეგ დირექტორს ვთხოვე, შეეშვა ნათია და გვეცადა, როგორ შეეგუებოდა მას და რამდენ ხანს დარჩებოდა. ბავშვი აშკარად უკეთესად შეეგუა ნათია მეხრიშვილს, მასთან ყოფნა მოსწონს. ნათიაც მონადინებულია, მასაც აქვს სურვილი. როგორც ვიცი, ფსიქოლოგიური განათლება აქვს და მიმჩნია, რომ სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. თუ ვაკანსია გამოცხადდება და ის მიიღებს მონაწილეობას, კმაყოფილი ვიქნები. ის ახლაც მუშაობს ამ სკოლაში, მაგრამ სხვა მიმართულებით. ბავშვი სკოლაში დადის, მაგრამ არ მინდა, რომ ჟანა მასწავლებელი მაინც შედიოდეს მასთან. ორი პედაგოგი ერთად, ერთ ოთახში რთული წარმოსადგენია. არ ვიცი, რამდენად დაუშვებენ მეორე სპეცპედაგოგის შტატს, მაგრამ ალბათ, ამ შემთხვევაში კმაყოფილი ვიქნები. ჩემი მთავარი მოთხოვნა სწორედ ის იყო, რომ სპეცპედაგოგი შეეცვალოს და ახალი კადრი მიეღოს. ამჟამად სხვა სპეცპედაგოგი არ არის ამ სკოლაში, ინკლუზიურ სწავლებას მხოლოდ ჟანა ბაბაიანი განაგებს. მაგრამ, როგორც ვიცი, ხორნაბუჯის სკოლა სამომავლოდ სპეცპედაგოგის ასისტენტის აყვანას გეგმავს და არა მეორე სპეცპედაგოგის შტატის დაშვებას. თავად დირექტორმა მითხრა ასე, ასისტენტს ავიყვანთო. ისევე ჟანა თუ იმუშავებს ბავშვთან და ახალი ასისტენტი ეყოლება, ასე პრეტენზია შექნება. მე სხვა სპეცპედაგოგის ვითხოვდი და ვითხოვ. ამჟამად კლასში კარგად ჩერდება და დადასტურდა ისიც, რასაც აქამდე ვამტკიცებდი, რომ თუ კლასში დაყოვნების დროს გაუფრთხილდით, მათე თავისფლად შეძლებდა ჯდომას და ასეც მოხდა. კლასში ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესს ეხსრება. სამინისტროში შეხვედრისას სამმართველოს უფროსმა სამი ფსიქოლოგი დამისვა და ისინი მარწმუნებდნენ, რომ ჩემი შენიშვნები მნიშვნელოვანი არ არის. ველოდები, როგორ განვითარდება მოვლენები, ვნახოთ, რა იქნება.“

ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოში შეხვედრა კონკრეტული შედეგით დასრულდა. ბიჭის დედის, მაკა შარმაზანაშვილის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საგაკვეთილო დროის გაზრდასთან დაკავშირებით, უპირობოდ დაკმაყოფილდა. ახლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვი კლასში მანამ დარჩება, სანამ გაჩერებას შეძლებს. ასევე მუშაობენ, დაკმაყოფილდეს მშობლის კიდევ ერთი მთავარი მოთხოვნა, რომ სპეცპედაგოგი ჟანა ბაბაიანი შეიცვალოს.



რაზე მეტია, მოსწავლე სკოლაში მივიდა. სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ მშობელმა პროტესტი შეწყვიტა. ბავშვი ჩვეულებრივ დადის, ისევე თავის კლასელებთან ერთად ზის და კლასში ჩვეულებრივ პედაგოგები არიან. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის თანახმად, ასეთი მოსწავლე კვირაში მხოლოდ ორი დღე უნდა გავიდეს სსმ ბავშვებისთვის გათვალისწინებულ რესურსოთახში. ახალი გადაწყვეტილებით, ბავშვს კლასში იმდენ ხანს გააჩერებენ, რამდენსაც გაძლებს. მაგრამ მშობელი ჟანა მასწავლებლის წინააღმდეგია, მიაჩნია, რომ ბავშვი არ უნდა გაიყვანონ რესურსოთახში. დროის გაზრდაზე სამინისტრო დათანხმდა, მაგრამ ამაშიც არ

დან იგეგმება ფსიქოლოგის შემოსვლა და თავად სპეციალისტი განსაზღვრავს, რა და როგორ მოხდეს კონკრეტულად“. **ბიჭის დედა მაკა შარმაზანაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს,** რომ ყველაფრით კმაყოფილი არ არის, მაგრამ ბავშვი რომ არ ჩამორჩეს, ამიტომ გადაწყვიტა სკოლას დაბრუნებოდა. შარმაზანაშვილი კმაყოფილია იმით, რომ დროის ხანგრძლივობა გაუზარდეს, თუმცა დარწმუნებული არ არის, მეორე სპეცპედაგოგის შტატი ნამდვილად დაემატება თუ არა. „2 აპრილს მივიყვანე ბავშვი, იმ დღეს ჟანა მასწავლებელი არ დაგვხვდა, ამიტომ დირექტორმა სხვას დაავალა ბავშვზე მეთვალყურეობა და ნათია

ილია მარტყოფლიშვილი

სიყვარული და მოთმინება – ოჯახის სტაბილურობის ბარანტი...

საქართველოში სიყვარული დღე უკვე 20 წელზე მეტია, 15 აპრილს აღინიშნება. ეს დღესასწაული წლების წინ ჟურნალ „ვარსკვლავების“ დამარსებელმა ბესო ჩუბინიძემ დააწესა. 1993 წელს მან საზოგადოებას შესთავაზა 15 აპრილს სიყვარულის დღის აღნიშვნა და ერთი წლის შემდეგ ამ ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა. მას შემდეგ, ყოველ 15 აპრილს საქართველოში სიყვარულის დღე აღინიშნება.

დღეების დანერგვა უფრო სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს, ვფიქრობ, გამოკვეთილად ხაზგასმას სიყვარულის დღისადმი ან ნებისმიერი სხვა დღესასწაულისადმი, მის მნიშვნელობას უბრალოდ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს და დაგვაფიქრებს, სხვაგვარად დედის დღეც ყოველდღეა, სიყვარულიც მუდამ თანმდევი გრძნობაა და ყველა დანარჩენიც, მხოლოდ მოფრთხილება გვმართებს ყველაფერ ამის.

დღეს ჩვენ მოგიყვებით ერთი მყარი ოჯახის ისტორიას, რომელიც, მართალია, სიყვარულით არ დანაყვებულა, მაგრამ 30 წელს გაუძლო კრიზისების კარემუ. ვუსურვებთ ამ წყვილს, კიდევ ბევრი ათეული წელი ტკბილად გაეტარებინოს ერთად.

თინიკო ნატროშვილის და ომარ ჩალახემაშვილის ოჯახი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მისაბაძია ჩვენს რაიონში თავისი წესიერებით, ერთგულებითა და პრომის-მოყვარეობით, არ გამოირჩევიან

არც სიმდიდრით, არც სოციალური სტატუსებით, მაგრამ მათ ოჯახში რომ სიბოძის, ურთიერთგაგებას და მხიარულებას ნახავს, მიხედვით, რომ ცხოვრებაში ბედნიერი რომ იყო, სწორება სხვა, უფრო მნიშვნელოვან ღირებულებებზე უნდა გააკეთო და თუ რაზე, ამას ჩვენი რესპოდენტი თავად მოგვიყვება.

-თინიკო, მოგიყვებით, როგორ დაიწყო ყველაფერი?

-ძალიან მარტივად, 1988წლის გაზაფხულზე მეგობრების წრეში შემთხვევით გავიცანი ერთმანეთი და ძალიან მალე, რამოდენიმე თვეში კიდევაც დავექორწინდით. ომარი ოზაანიდან არის და იქ, მის მშობლებთან ერთად დავინწყეთ ცხოვრება. არასოდეს დამაინყებდა იმ ოჯახში ჩემი მიღება. საოცარი სიბოძით შემხვდნენ და ამას ეტყობა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომდევნო ურთიერთობების გაგრძელებაში, ასეთივე ტკბილი და თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ყველას ოჯახში ერთმანეთის მიმართ. წლისთავზე ზურა შეგვეძინა, მერე მარი და ასე მივყავოლე დეკრეტული შვილებები ერთმანეთს. 6 წელი ვიცხოვრეთ ერთად და სოფლიდან ისე გადმოვედით დედოფლისწყაროში, რომ ერთი უბრალო უთანხმოება არ მომხდარა ჩემსა და დედამთილ-მამათლს შორის, ასეთი რამ

წარმოუდგენელი იყო ჩვენთან, კარგად მომეხმარნენ ბავშვების გაზრდაში, მამამთილმა ზურა ბაღშიც კი არ მიმაცანინა, სულ თავისთან უნდოდა, რომ ჰყოლოდა. ამასობაში ჩემი შვილებებიც ამოიწურა, ისევე დაეუბრუნდი სამსახურს ქალაქის გამგეობაში. ის პერიოდი იყო, რომ აირია ყვე-

- ამდენი წლის თანაცხოვრების მანძილზე თუ გქონიათ ურთიერთობაში კრიზისული პერიოდები?

- არა, არასოდეს მსგავსი რამ არ ყოფილა ჩვენთან, რატომაუნდა, ვერ ვიტყვი, რომ არასოდეს არ გვიკამათია, ვფიქრობ, ჯანსაღი ურთიერთობის ერთ-ერთი პირობაა ხანდახან კამათიც, მაგრამ მას არასოდეს მისცემია კონფლიქტის სახე და კრიზისზე საუბარი ხომ არასერიოზულად მიმჩნია ჩვენს ურთიერთობაში. ამის მთავარი რეცეპტი კი არის სიყვარული და მოთმინება, ოჯახში ძალიან ბევრი რამის დათმობა უნევთ მეუღლეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმშვიდე და სტაბილურობა გამოიციხულია.

ყოველთვის ღია გვაქვს კარი ჩვენი სამეგობრო-სანათესაოსთვის, გვიყვარს სტუმრები, გვიყვარს დღესასწაულებზე ერთად თავმო-

ყარ და ქართული სუფრა, რაც გვაქვს და გავაჩნია, კმაყოფილები ვართ და არასოდეს დაგვრჩენია თვალი სხვის ცხოვრებაზე, არც გული დაგვწყევტია რამეზე, არც რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები გვაქვს, ასეთები არიან ჩვენი შვილებიც. ზურა დროებით უმუშევარია, მარი საპატრიარქოს სკოლაში მუშაობს ქართული ენის

მასწავლებლად. მათ საუკეთესო მეგობრები ჰყავთ, ძალიან წესიერი და კარგი.


ახალგაზრდები არიან ყველა. გაოცებული ვარ, ტელევიზიით რომ გადმოსცემენ ხოლმე ამდენი არასრულწლოვანის და თუ სრულწლოვანი ახალგაზრდების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ყოველდღე, მიკვირს, სად იზრდებიან ეს ბავშვები, საიდან ხდებიან ასეთები, როცა მე ვისაც ვიცნობ, ჩემი შვილების სამეგობროში, სულ ერთმანეთზე საუკეთესოები და მისაბაძები არიან.

- თინიკო, მალე ალბათ შვილებიც თავიანთ მეორე ნახევრებს მონახავენ და დამოუკიდებლად გაუყვებიან თავიანთი ცხოვრების გზას. რას ნატრობ, როგორი ადამიანები გინდა იყვნენ მათ გვერდით?

- სიმართლე რომ ვთქვა, რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა არ გამაჩნია, ჩემი შვილები ვისთანაც ბედნიერები იქნებიან, მინდა, იმ ადამიანების გვერდით იცხოვრონ, აი ეს ნატვრა მაქვს მხოლოდ.

მადლობას მოგახსენებთ, რომ გვეწვეით და დაინტერესდით ჩვენი ოჯახით, თქვენც და თქვენს მკითხველსაც გილოცავთ ადღგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, სიყვარულის დღეს, ჩვენს ქვეყანას კი ვუსურვებ სიმშვიდეს, ეკონომიკურ სიძლიერეს, რომ გაჩნდეს საშუალო ადგილები და ჩვენს ახალგაზრდებს, ყველას ჰქონდეს დასაქმების საშუალება.

მომამზადა
კულა ხარაშვილი



ე ქ ვ თ ი მ ე ლ ვ თ ი ს კ ა ს ი

(მეხუთე გვერდიდან)

მთავრობამ გადაწყვიტა, არაეის-თვის დაენებებინა საქართველოს სამეზობლო ნივთები, ძვირფასეულობა, ქართველი ხალხის ეს დიდი შემოქმედების ნაყოფი. განძეულობის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა. განძეულობა გატანილი იქნა საფრანგეთში. 1921 წლიდან 1945 წლამდე ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთში იმყოფებოდა და ღირსებით ასრულებდა განძის მითვალყურის მოვალეობას. მისი უდიდესი ნაბიჯი იყო საქართველოს მთავრობის დახმარებით მისი უდიდესი ნაბიჯი იყო საქართველოს საბანკოების დახმარებით

რთულ პირობებში. გაუქმო ინ-გლისისა და აშშ მთავრობების შემოტევაზე (მათი უნდოდათ განძის ბარკვეპული ნაწილი აეღოთ). ინგლისის მთავრობის სანაცვლოდ პირობას დებდა, დანარჩენი განძი უფასოდ შეი-ნახა, გაუქმო მთელი მსოფლიო ომის საშინაო წლებს, როცა შეიძლება განძის ბანკის დახმარებით განძი ოქსფორდის საფრანგეთშიდან წაიღოთ. ვერ გატანა შიგნით, დატვირთვა, მითად მიიღო აქრონოპოზი მდგომარეობაში. მან 1945 წელს მთელი განძი უკლებლივ ჩამოიტანა საქართველოში.

1945 წელს სამშობლოში დაბრუნებული მსცოვანი მეც-

ნიერი წერდა: „ორივე წლის სიცოცხლე დამრჩენია და, საბედნიეროდ, ისევ სამშობლოში მიწევს... მოვანხარ ჩემზე დარჩენილი ვალის ბოლომდე მოხდას: „ვეცდები, აღარც ერთი ჩემი ხელი ნამყოფი თუ ჩემ მიერ დათვლიერებული ძეგლი აღარ დარჩეს გამოუცემელი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი უკვე იმსხვერპლა დრომ“.

დრო მიდიოდა... წლები თავისას აკეთებდა... ღრმად მოხუცებული ექვთიმე სულიერ განსაცდელშიც იყო. ხელი-სუფლებას ყოველი ემიგრანტის მიმართ, როგორც ჩანს, გარკვეული ეჭვები ჰქონდა. მოხუცი ერთგვარ იზოლაციაში მოექცა, მაგრამ მაინც გულგაუტეხლად აგრძელებდა თავის საქმიანობას - იხიდა ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წლის თებერვალში გარდაიცვალა, განისვენებს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კინორჩვენების დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მალხაზ მირაზიშვილმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ნონა ჯიბლაძემ დადგინდა გადაუხადეს ფილმის შემოქმედებით ჯგუფს შესანიშნავი ნამუშევრისთვის და აღნიშნეს,




რომ მსგავსი კინოპროდუქციის თუ როგორ ადამიანებზე დგას შექმნა აუცილებელია დღევანდელ დღეს, რათა მომავალი თაობისთვის გახდეს ცნობილი, ინგა შილაშვილი



კ რ ო ს ვ ო რ დ ი

შეუპყდა 1. რომელი ლითონისგან იყო დამზადებული ჯარისკაცები ანდერსენის ზღაპარში 2. სრულტე პა-დე... 3. ოპერა, რომელიც ჯუზეპე ვერდიმ სუეტის არხის გახსნასთან დაკავშირებით დაწერა 4. რა ნაგებობაა სან-ფრანცისკოში „ოქროს კარიბჭე“ 5. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფულის ერთეული 6. ქედი, რომელზეც გადის ევროპასა და აზიას შორის წარმოსახვითი საზღვარი 7. ზამბახი 10. ყავის ჯიბი 11. ხმელეთის ყველაზე სწრაფი ცხოველი 12. ბალახი, რომლისგანაც შექარს იღებენ 13. თვითნასწავლი მხატვრობა 14. აშშ-ში: კონსტიტუციური აქტი 15. ბოსტნეული, რომელიც მკვახე მდგომარეობაში საქმელად ვარგისია 16. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი 20. ოჯახური კერის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითში 21. ბრინჯაო 22. თვალის თეთრი გარსი 24. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში 25. ინერტული აირი 26. ფარული დაცინვა 28. დასავლეთ საქართველოს მთავარი წყალშემკრები მდინარე 31. ტურე პეიერდალის პაპირუსის გემი 32. ალ პაჩინო ფილმში „... ტრეისი“ 34. მარკ ტვენი - „... სოიერის თავგადასავალი“

თარაზულად 4. სპილოს წაგრძელებული ცხვირი 8. ამერიკელი ფერმერები რის ბურთულეებს მარხავდნენ მინაში სინოტივის დასადგენად 9. გემი, რომლითაც კაპიტან გრანტს ეძებდნენ 37 პარალელის გასწვრივ 10. ზღვაოსანი, რომელიც წყნარი ოკეანის „ნათლიად“ ითვლება 14. ატოლი, რომლის სახელიც ღია საბანაო კოსტიუმს უწოდეს 17. პოლონელი მეცნიერი, ჰელოცენტრული სისტემის ფუძემდებელი 18. ყვავილი, რომელიც ძველ ეგვიპტეში სინმინდის სიმბოლოდ აღიქმებოდა 19. ქალაქი კრასნოდარის მხარეში; 23. ალტერ ეგო, ანუ სხვა 24. მომღერალი ... მატეე 27. მუხლის თავის პატარა მრგვალი ძვალი 29. გამოგონება, რომელსაც ერთმანეთს პოპოვი და მარკონი ეცილებოდნენ 30. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში 33. ჰუნების ბელადი 35. მდინარე, რომელსაც გერმანიის „სანარეცხე ვედროს უწოდებენ 36. სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“, მოხრობელი ... ლოლაშვილი 37. „ღვინომ ხე ... გახეთქა და კაცი ვერაო“ 38. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში.



შ ლ ო ს ა ვ ე ნ !
არქიმანდრიტ ონოფრე წულაქას!

მამა ონოფრე, დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას და ღვთის მფარველობას, უფლისა, რომლის მცნებებზეც თქვენი ცხოვრების მთავარი პრინციპია! გვინდა, კიდევ დიდხანს ემსახუროთ ეკლესიას და მრევლს გაგვიადვილოთ უფლისკენ საავალი მიმღე და ცდუნებებით აღსავსე გზა!

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სახელობის საბლოცველო სახლის მრევლის სახელით მანანა, თამარიკო, ვაჟა, შოთიკო მარტყოფიშვილები და წელი კვანჭილაშვილი **ოჯახით.**

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მალაზია აცხადებს ვაკანსიას გამყიდველის პოზიციაზე, ხოლო სასტუმრო - ადმინისტრატორისა (სასურველია რუსული და ინგლისური ენების მინიმალური ცოდნა) და მზარეულის პოზიციაზე. ანაზღაურება შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 599 08 01 28

მადლიერება

რამდენიმე წელია, ჩვენს რაიონში ფუნქციონირება დაიწყო ინკუბატორმა, რომელიც კარგ სამსახურს უწევს ადგილობრივ მოსახლეობას- სასურველი ჯიშის წინილებს სთავაზობს. აქამდე წინილების ყიდვა სხვა რაიონში გვიხდებოდა, ყველასთვის ნაცნობ „ბოდბისხევის“ ბაზრობაზე, სადაც მგზავრობის ხარჯის განევასთან ერთად არ ვიყავით დაცულნი, რამდენად კარგი ჯიშის წინილას ვიყიდდით. ინდუმენარემ გვიი ფიროსმანაშვილმა ეს პრობლემა მოაგვარა და უკვე რამდენიმე წელია, მცირე ფერმერული მეურნეობისთვის საჭირო ფრინველის მოსამუშევრად ადგილობრივი საწარმო შექმნა. ამისთვის გვინდა, მადლობა გადავუხადოთ მას და შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ თავის საქმიანობაში.

ძ. დედოფლისწყაროს მოსახლეობა.

ამინდი		დედოფლისწყარო		საბურთალოს რაიონი		საბურთალოს რაიონი	
ორშაბათი 16.04	სამშაბათი 17.04	ორშაბათი 18.04	სუთშაბათი 19.04	პარასკევი 20.04	შაბათი 21.04	კვირა 22.04	კვირა 22.04
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
8°	6°	8°	7°	9°	8°	10°	9°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შილაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლევია: ლალი მახრინიშვილი, ილია მარტყოფიშვილი (ჟურნალისტიკა); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	---	--	---